ადამიანები ყოველთვის ცდილობენ შეიქმნან ლამაზი და განსხვავებული გარემო. მათ ამ პროცესში დიდ სამსახურს, პროფესიონალის გამოცდილებას, უწევს. არქიტექტორმა ილია ზაქარაიამ, სახლის მეპატრონეთა მოთხოვნების გათვალისწინებით, დახვეწილი, ეფექტური ინტერიერი ზომიერი ფანტაზიისა და გემოვნების სინთეზის შედეგად შექმნა. საინტერესო სახლი ყოველთვის საინტერესო ხასიათის მატარებელია და შესაბამისად უცხო თვალის ყურადღებას იმსახურებს. ეს სუპერთანამედროვე, კომფორტული ბინა თავს ნამდვილად დაგამახსოვრებთ. საცხოვრებლის სხვადასხვა ზონაში არსებული არაორდინალური დიზაინერული ფრაგმენტები სახლში დიდ ჰარმონიას ქმნის.

სუპერ თანამედროვე და ყველასგან განსხვავებული

სამოთახიანი ბინა თბილისში,
ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე
მრავალსართულიან საცხოვრებელ
კორპუსში.

პროექტის ავტორი: ილია ზაქარაია
(საპროექტო კომპანია "კუპი")



ჩვენს მოწონებას საინტერესო ნივთებით და დეკორის ელემენტებით გაფორმებული მისაღები ოთახიც იმსახურებს. ულტრათანამედროვე განათება და დახვეწილი ავეჯი სახლის ინტერიერს საკმაო სიმყუდროვეს მატებს. ჭერის და კედლების დეკორი ეფექტურია და მთლიან დიზაინს იდეალურად ერწყმის.

ბინაში დადებითი აურაა შექმნილი. საჭირო აქსესუარების შერჩევა დიზაინის დასრულების ბოლო ეტაპი იყო. მთავარია - პირველ რიგში გაითვალისწინებული იქნა დამკვეთის მოთხოვნები და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ინტერიერის საინტერესოდ დატვირთვა.

ნიმუ ლალიძე





Ultra-modern and Unconventional

Three-room apartment in a highrise building in Kipshidze Street, Tbilisi
Project author: Iliia Zakaraia (design company "Cube")

People always try to create an attractive and original environment to live in. This is often done with the help of professionals with relevant experience. Considering the requirements of apartment owners, architect Iliia Zakaraia created an elegant, efficient interior based on the synthesis of moderate fantasy and refined taste. Off-standard residential spaces are always filled with unique atmosphere. The same can be said about this ultra-modern, comfortable apartment, which will indeed remain in your memory. Fragments of unorthodox design planted in different zones of the apartment increase integrity and harmony of the interior. Living room decorated with unusual accessories and d'cor elements looks remarkable. Ultra-modern lighting and refined furniture make the apartment especially comfortable. Wall and ceiling d'cor efficiently reverberates with other design elements.

The apartment is saturated with positive aura. The author efficiently reconsidered the owner's demands before starting to tailor interior design - this shows in every bit of Iliia Zakaraia's work, from general design concept down to the choice of matching accessories.

NINO LAGHIDZE







თანამედროვე და მინიმალისტური ბინა


პროექტის ავტორი: ილია ზაქარაია, საპროექტო კომპანია „კუბი“

სამოთახიანი ბინა „ბაგებში“ „კალასი“-ს მრავალსართულიან კომპლექსში

იმისთვის რომ თანამედროვე ოჯახზე გათვლილ ბინაში შესაბამისად თანამედროვე და ამავედროულად მინიმალისტური სტილი იქნას მიღწეული, აუცილებელია ინტერიერის დიზაინერს დიდი გემოვნების გარდა, სულ ცოტა სითამამეც ახასიათებდეს. მოცემულ ინტერიერში აშკარად იგრძნობა, რომ არქიტექტორმა ილია ზაქარაიამ გარისკა და საინტერესო დეტალებით საკმაოდ განსხვავებული, ოჯახური სტილის ბინა შექმნა. წინასწარ კარგად შერჩეული ავეჯით, საგულდაგულოდ დამონტაჟებული განათებებითა და წყნარი ტონალობის ფერებით- ილია ზაქარაიამ სახლში ჰარმონიასა და მყუდროებას ნამდვილად მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ბინა ნივთებით გადატვირთული არაა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში სახლის ინტერიერში სივრცე მაქსიმალურად არის ათვისებული. ერთი შეხედვით საკმაოდ მინიმალისტურ მისაღებ ოთახში შესამჩნევი და აღსანიშნავი მაინც ბევრია. თქვენს ყურადღებას აუცილებლად იმამხურებს ჭერის ეფექტური დიზაინი, ორიგინალურად მოპირკეთებული კედელი და სპეციალურად ტელევიზორისთვის მოწყობილი თარო. 21-ე საუკუნის გავლენა საერთო ოთახთან გაერთიანებულ სამზარეულოსაც ეტყობა. თვითმყოფადობით გამოირჩევა საძინებელი ზონაც .

ილია ზაქარაიას საკმაოდ თამამი გადაწყვეტილებებით იქმნება თანამედროვე, დახვეწილი, ელეგანტური და საკამოდ მიმზიდველი გარემო და, თუკი გსურთ რომ თქვენი საცხოვრებელი ინტერიერიც ამ თვისებებით გამოირჩეოდეს, აუცილებლად უხმეთ გამოცდილი არქიტექტორს და დაზუსტებით აუხსენით თუ როგორია თქვენი ოცნების სახლი.

ნინო ლალიძე








Three-room apartment in Kalas Highrise Residential Complex in Bagebi, Tbilisi
Project author: Iliia Zakaraia (design company "Cube")

To design a voguish but minimalist residential interior for a modern family, the author should be blessed with some good taste and a bit of boldness. In the given case architect Iliia Zakaraia risked to defy conventionalities. Preselected furniture, efficiently structured light fixtures, carefully matched colors and textures allowed Iliia Zakaraia to make this interior harmonious and comfortable. The apartment is not overloaded with items, but the interior space is used very efficiently in spite of its seeming vastness. In a seemingly minimalist living room there is a lot to notice and admire. You will be amazed by efficient ceiling design, original wall facing, special TV-set stand. The influence of 21st century tendencies is evident in the design of kitchen, integrated with the living room; the same wave of originality continues into the bedroom area.

Daring decisions applied by Iliia Zakaraia resulted in a modern, elegant, attractive interior design. If you wish that your apartment looks like this, do not hesitate to engage an experienced architect who will be able to visualize your dream house.
NINO LAGHIDZE

Modern and Minimalist





Шоколадное настроение

Модный, современный, стильный и классический - так можно описать созданный архитекторами Наилой Сейфуллаевой и Рагимом Сейфуллаевым интерьер - "A Chocolate Paradise" ("Шоколадный Рай"). Владельцы барского дома хотели видеть свою квартиру оформленной в классическом стиле, но так, чтобы в нее органично вписались предметы современного дизайна. Архитекторы предложили ар-деко - несомненно, один из самых эффектных видов классики.

Стилистику ар-деко для своих домов часто выбирают люди яркие и творческие. Причина понятна: характерные черты ар-деко - бросающиеся в глаза роскошь и индивидуальность этого стиля - идеальное поле для самовыражения. Архитекторы рассматривали интерьер не только как частное пространство, но и как место, куда можно пригласить коллег и друзей. Общественная зона занимает большую часть квартиры. В этой части апартаментов архитекторы создали

свободную планировку, объединив в одно просторное помещение разные жилые зоны. Для того чтобы шум не проникал из гостиной в спальню, между приватной и общественной зонами архитекторы расположили подсобные помещения.


Декорацию квартиры определила обыгранная в духе ар-деко классика - покрытые и покрашенные в шоколадно-золотистый цвет элементы дизайна. В оформлении квартиры архитекторы использовали много коричнево-бежевых акцентов - мебель, текстиль, колонны, потолочные карнизы, что никак не делает интерьер менее "вкусным". В общественной зоне царит "уравновешенный" декор и одновременно подчеркивается глубина и богатство шоколадного цвета.

Тот же принцип (но в облегченном варианте) использован в оформлении хозяйской спальни и гостиной комнаты.



Архитекторы использовали почти синхронный подход. Как в конфетнице множество разноформных и разновкусных шоколадок сливаются в одно целое, чтобы получилась изумительная композиция, так и в этом интерьере современные материалы и элементы декора соединяются с классическими формами и "вечным" деревом и камнем, чтобы создать единый стиль.

НИНО ЛАГИДЗЕ



Chocolate Mood

Fashionable, modern, stylish and classic - this is how we could describe interior "A Chocolate Paradise" created by architects Naila Seifullaeva and Ragim Seifullaev. Owners of an aristocratic mansion wished to have a classic interior with natural touches of modern design. The architects suggested art deco - undoubtedly, one of the efficient trends of classic style.

Usually it is unordinary and creative people that choose art deco style for the design of their own houses. The reason is obvious: characteristic traits of art deco - striking luxury and individuality - are an ideal ground for self-expression. The architects visualized this interior not just as a private residential space but as a place where one could comfortably entertain colleagues and friends. The public zone takes most of the apartment. In this part of the house the architects retained the original free planning, which united different sub-zones into one large space. To prevent noise from penetrating from the drawing room into bedrooms, the architects positioned the utility zone between private and public areas.

Decoration of the apartment was pre-defined by art deco style classic - design elements upholstered or painted in golden-brown chocolate color. Abundant beige and brown accents - furniture, textile, pillars, ceiling cornices do not make the interior less "tasty". The balanced decor of the public zone highlights the richness and depth of chocolate brown.

The same principle - but with less intensity - is applied in decoration of master and guest bedrooms.

The architects' approach was almost spontaneous. Like bonbons of different shapes and tastes integrate to form an amazing composition in a chocolate box, modern materials and decor elements combine in this interior with classic forms and "eternal" wood and stone to form integral style.

NINO LAGHIDZE





მდებარეობა: მარჯანიშვილის ქ. თბილისი
ავტორი: "დიზაინ ბიურო",
ნია მგალობლიშვილი,
სოფიო შევარდნაძე.
ია ლიპარტელიანი

Location: Marjanishvili street, Tbilisi, Georgia
Authors: DesignBureau Ltd., Nia Mgaloblishvili,
Sophie Shevardnadze, Ia Liparteliani


Dark and light, cold and warm, classical and glamorously modern - this is how the new clothing shop V.I.P. (Marjanishvili Street, Tbilisi) was broken down in several conceptual zones. The story starts at the entrance area - an unusual showroom set with decorative articles, reflective stretch ceilings, glossy floor and glass partitions. The "first" interior zone is decorated with original materials - glass and steel. The "second" zone (predictably enough) - prevails in light colors, crystal and subdued decor, allowing the visitors to concentrate on shopping bright and modern clothes.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI



La Galleria Italiana Showrooms





თსსა. მედიახელოვნების ფაკულტეტი "ღია კარის დღეები"

**SOME SHOTS FROM MEDIA ART FACULTY -
"OPEN DOOR DAYS" 16-19 / IV / 2013**

16-19 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩატარდა მედიახელოვნების ფაკულტეტის ღია კარის დღეები.

წარმოდგენილი იქნა მედიახელოვნების ფაკულტეტის სტუდენტების და პედაგოგების ნაშრომები. ჩატარდა ვორკშოპები თემაზე: "ფსიქოლოგიური პორტრეტები", ვორკშოპს ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: გია ჯაველიძე, თამარ დარსაველიძე, ნანა გაბაშვილი. ასევე ჩატარდა ვორკშოპი თემაზე "შეგონა ვიცი მგონია", რომელსაც უძღვებოდნენ პროფესორი რუსუდან ერისთავი, მარიამ ჭიჭინაძე, მარინა თევზაია, ზაზა იაშვილი.

მედიახელოვნების ფაკულტეტზე შეიქმნა შრიფტისა და ორნამენტის ლაბორატორია, ეს ტრადიცია სამხატვრო აკადემიაში არსებობდა საბჭოთა პერიოდში, დაგეგმილია კვლევითი სამუშაოების ჩატარება.

გურამ წიბასაშვილმა ჩაატარა ვორკშოპი თემაზე: "კერძო მუზეუმების გადაღება".

თბილისის სამუზეუმო უბანი და ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი კონცეფცია წარმოადგინა, პროფესორმა ზაზა იაშვილმა.

მედიახელოვნების დეკანის, პროფესორი ნანა იაშვილის მიერ გაშუქებული იქნა საერთაშორისო პროექტები, რომლებიც იგეგმება ქართულ-იტალიური თანამშრომლობის ფორმატით.





არქიტექტორთა კლუბსა და მედიასელოვნების ფაკულტეტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეებს წარმოადგენდნენ არქიტექტორთა კლუბის დირექტორი ნინო ლალიძე და მედიასელოვნების ფაკულტეტის დეკანი ნანა იაშვილი.

ასევე აუდიტორიის წინაშე წარდგინდნენ ფონდ რომულდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულები.

ფაკულტეტის სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომები გასუქდა დამონტაჟებული პროექტორების საშუალებით. ნაშრომებმა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს თანამშრომლებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია და შედგა მოლაპარაკება ერთობლივი ნამუშევრების შექმნაზე და შემდგომ წარმოდგენაზე.



TSSA Media Art Faculty

OPEN WEEK DAYS

On April 16-19, in Tbilisi State Academy of arts was held Media Art Faculty Open week event. There were presented works of Media Art Faculty professors and students.

Workshops were held on the following topics: "Psychological Portrait", workshop was led by professors: Gia Javelidze, Tamar Darsavelidze, Nana Gabashvili. Also the workshop was held on theme: "I Thought, I Know, I Think", led by professors: Rusudan Eristavi, Mariam Chichinadze, Marina Tevzaia and Zaza Iashvili.

On the Media Art faculty were created the laboratory of Shift and Ornament. This tradition has existed in Academy in soviet period. It is planned to carry out research work.

Guram Tsibakhashvili conducted a workshop on theme "Shooting of privet Museum".

A new concept of National Library and Museum district was presented by Zaza Iashvili.

Dean of Media art Faculty Nana Iashvili announced international projects which is planned by Georgian-Italy format.

Memorandum of cooperation was signed between the Architect league and Media Art Faculty presented by the sides, Architect League Director Nino Lagidze and Dean of Media Art Faculty, Professor Nana Iashvili.

Also their speeches made Remualdo Del Bianco Foundation, an international festival winners.

Students works were covered by the projectors. The Agency for Cultural heritage was interested in students works. The negotiations were held about collaboration.



დავით ჩხეიძე, სპეციალობით არქიტექტორი, მრავალი საერთაშორისო პრიზის და დიპლომის მფლობელი, უკვე რამდენიმე წელიწადია სამკაულებზე მუშაობს. სელოვანი სისტემატიურად იღებს მონაწილეობას სამკაულების და აქსესუარების საერთაშორისო ჩვენებებში.

მისი კოლექცია, ხელნერა აბსოლუტურად განსხვავებულია. გულსაბნევი, ბეჭედი, სამაჯური... - ყველანაირი, კლასიკური თუ თანამედროვე სამკაული იქმნება დიზაინერის მიერ.

ჩვენი, ადამიანების ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ქვეცნობიერ დონეზე ყოველთვის გვიჩნდება სურვილი სილამაზით შემოვიფარგლოთ. დავითის სამკაული სილამაზისა და დახვეწილი დიზაინის პარმონიული შერწყმაა. სამკაულის სინატიფე თუ თამამი კომპოზიციები განსაკუთრებულ ბრწყინვალეობას მატებს ნებისმიერ სამოსს, პერსონას და სიმშვიდის, კმაყოფილების, სიცოცხლის სიხარულის შეგრძნებას აძლიერებს.

დავით ჩხეიძე უზალო გემოვნებით განიარაღებს. ავტორისეული ტექნიკით განხორციელებული ნამუშევრების ორნამენტალური ფანტაზია, იდენტური სიმძაფრით ანცვიფრებს, ნებისმიერი გემოვნების ადამიანს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქმნილებები არასოდეს არ არის ერთგვაროვანი. ისინი ყოველთვის გამოირჩევიან ორიგინალობით, ფერებით, ხასიათით და რაც მთავარია ექსკლუზიური...

დავითის ნაკეთობები ასხივებენ რადიკალურად ახალს და თითოეული მათგანი ღრმად გააზრებული, იდეალურად შესრულებული ქმნილებაა.

David Chkheidze, architect, winner of numerous international awards and diplomas, has been designing accessories for several years already. He is a regular participant of accessory exhibitions.

David Chkheidze's style is essentially unique. Her necklaces, rings, bracelets - each classical or modern accessory features highly original design.




The subconscious wish to beautify, to collect and use beautiful objects is an integral part of human nature. David Chkheidze's accessories are a harmonious combination of natural beauty and refined design. Exquisite shapes and daring composition of her accessories add special brilliance to any dress and intensify the feeling of tranquility, happiness and enjoyment.

David Chkheidze's flawless taste is disarming: ornamental fantasy of her works evokes equal admiration in people with any taste. David Chkheidze's accessories radiate the feeling of novelty. All her works, with their perfect technique and deep layers of background ideas, are true art.

NINO LAGHIDZE




Ornamental fantasy ორნამენტალური ფანტაზია





ქართველი მხატვრები "სოთბის" გამოფენა-გაყიდვაზე "გზაჯვარედინზე"

კავკასიისა და შუა აზიის თანამედროვე ხელოვნება ლონდონში



4 მარტს ლონდონში, „სოთბის“ სააუქციონო სახლში, გაიხსნა კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების ძველი და ახალი თაობების მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით „გზაჯვარედინზე“. მასზე წარმოდგენილია 50-მდე მხატვრის, მათ შორის ცხრა ქართველი ხელოვნის ნამუშევრები.

ირაკლი ფარჯიანი, თამარ კვეციანი, ალექსანდრე ბანძელაძე, აეთო ვარაზი, ჯიბსონ ხუნდაძე, ლევან ჭოლოშვილი, მერაბ აბრამიშვილი, კოკა რამიშვილი, კოტე სულაბერიძე - ესაა ჩამონათვალი ქართველი მხატვრებისა, რომელთა ნამუშევრები გამოიფინა ლონდონში, სადაც "სოთბის" სააუქციონერო სახლმა საგანგებოდ მოაწყო კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების ძველი და ახალი თაობების წარმომადგენელთა გამოფენა-გაყიდვა, სახელწოდებით „გზაჯვარედინზე“. "სოთბის" ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 50-მდე მხატვრის ნამუშევრები. ცოცხალი მხატვრებისთვის ეს უდიდესი შესაძლებლობა იყო იმისთვის ფული, არამედ გაითქვან სახელი, ან გარდაცვლილთა ახლობლებისთვის კი, მათი ნამუშევრების მფლობელთათვის, ასევე პოპულარიზაციის ზრდასთან ერთად, ფინანსური მხარეც არ იქნება უმნიშვნელო. მხატვართა სპექტრი ერთობ მრავალფეროვანია - აქ არიან სოცრეალიზმის წარმომადგენლებიც, ნონკომფორმისტი მხატვრებიც, ღრმა სულიერების გზით მავალი და პოსტმოდერნისტული თამაშით გართულებიც. ფაქტია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილთა უმეტესობა ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ხელოვნად.

გამოფენის კურატორმა ჯოანა ვიკერი, რომელიც "სოთბის" რუსეთის განყოფილებას განაგებს და თავისი ორგანიზაციის სურვილი გაგვიჩვენა.

„ჩვენი სურვილი იყო შემდეგი: წარმოდგენილი იყოს ხელოვნება, რომელიც იქმნებოდა 1960-იან წლებს შორის - მთელი ამ წლების განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები. და თუ ახლა თვალს გადავავლებთ „პერსპექტივისა“ და „გლასსისტი“ შემდგომ ბოლო 20 წელიწადს, - საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული, დღევანდლამდე, - ვნახავთ, რომ ეს ქვეყნები ხელოვნებაში ეძებენ ეროვნულ იდენტურობას, იმას, რაც სრულიად ამოძრკვეული იყო საბჭოთა რეალისტურ ხელოვნებაში“, - ამბობს "სოთბის" წარმომადგენელი, რომელიც, ალბათ, მათ რიგში იყო, ვინც შეარჩია ნამუშევრები გამოფენა-გაყიდვაზე წარდგენილი მასალიდან.

გალერეა "ბაია" ერთ-ერთია, რომელმაც ნამუშევრები წარადგინა "სოთბისში", მასთან ერთად კი - „თიბი-ი არტ გალერეამ“ და სამმა მხატვარმა, დამოუკიდებლად. ბაია ნიქორიძეს, გალერეა "ბაია" მფლობელს, სწორედ მაშინ ვესაუბრეთ, როცა მისი თვითმფრინავი ის-ის იყო, აფრენას აპირებდა. მისი გალერეიდან "სოთბისზე" აბრამიშვილის, ფარჯიანისა და სულაბერიძის ნამუშევრები გამოიფინა.

„არჩევანი გაკეთდა ძალიან დიდი რაოდენობის მასალიდან, რომელიც მე მივანოდე. ნახატები თვითონ შეარჩიეს - დიდი ხანია ამ მხატვრებზე ვმუშაობ“ - გვითხრა ბაია ნიქორიძემ.

ირაკლი ფარჯიანის ნამუშევარი, რომელიც ლონდონში წაიღეს, ბერლინის ციკლიდანაა. ესაა 1989 წლით დათარიღებული „ჯვარცმა“. ხუნდაძის ფიროსმანის „მეტამორფოზები“ ზეთში შესრულებული საშუალო ზომის ტილოა. ლონდონში წაიღეს ასევე ავთანდილ ვარაზის „ხარის თავი“, ლევან ჭოლოშვილის „უსათაურო“, ალექსანდრე ბანძელაძის „კომპოზიცია“, მერაბ აბრამიშვილის „კუმონის კაციჭამია“ და სხვები.

„ჩემი ერთ-ერთი ფავორიტია, ქართველი მხატვრის, მერაბ აბრამიშვილის ტილო. სამწუხაროდ, ის გარდაიცვალა 2006 წელს, 56 წლისა. მას შესანიშნავი, ფიგურატიული სტილი აქვს. ცხოვრობდა ესკეიზების სამყაროში, რაც ასევე ახასიათებს საბჭოთა პერიოდის იმ მხატვრებს, რომლებიც არ მუშაობდნენ საბჭოთა რეალისტური მანერით. აბრამიშვილის ნამუშევარი, რომელსაც გასაყიდად გამოვფინეთ, ასეა დასათაურებული: „კუმონის კაციჭამია“. ეს არის მისტიკური მხეცი, ვეფხვისნაირი, და დახატულია როგორც აღმოსავლური მინიატურა, დეტალურად. მართლაც საუცხოოა!“ – აღნიშნა ჯონან ვიკერმა.

ასეთ გამოფენაში მონაწილეობას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ცხადია. ბაია წიქორიძე გვამცნობს, რომ ქართველ მხატვრებს აუქციონებში უწინავე მიუღიათ მონაწილეობა:

„წინა წლებშიც გადიოდნენ ცალკეული ქართველი მხატვრები, ოღონდ სულ აუქციონებზე. გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა პირველია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფინანსური ორგანიზაცია ხელოვნების ბაზრის სფეროში. ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხელოვნებისთვის და ქართული ხელოვნების ბაზრის განვითარებისთვის“.

გამოფენა-გაყიდვა გულისხმობს ნამუშევრების შეფასებას, მათზე ფასის დადებას და გაყიდვას და თუ მყიდველი ხარ, არ იქნება ძნელი გაარკვიოთ, რა ღირს თქვენი მოწონებული ნამუშევარი: „სოთბის“ საინტერნეტო გვერდი საჯაროა.

„ნახატის ღირებულების შესახებ, წინასწარ, სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით, რადგანაც ეს არის კონფიდენციალური ინფორმაცია და ჩვენ ხელი გვაქვს მონერლი ამ კონფიდენციალობის დაცვაზე. ეს არ არის აუქციონი, ეს არის გამოფენა-გაყიდვა. „სოთბის“ ვებ გვერდზე, დევს მთელი ეს მასალა, სადაც მითითებულია, რომ თუ რომელიმე კონკრეტული მხატვრის კონკრეტული ქმნილების ფასი გაინტერესებთ, ინტერნეტით შეგიძლიათ მოიძიოთ“- გვამცნო გალერისტმა.

როგორც „სოთბის“ გამოფენა-გაყიდვის ორგანიზატორებმა გაგვიმხილეს, ნამუშევართა ფასები სამიდან 500 ათასამდე მერყეობს. კონკრეტულად, ცნობილი ისაა, რომ ამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მხატვართა შორის ყველაზე ძვირად აზერბაიჯანელი თაირ სალახოვის მიერ 1987 წელს შექმნილი კომპოზიტორ დიმიტრი შოსტაკოვიჩის პორტრეტი შეფასებულია.

დაბოლოს, გეტყვით, რომ "გზაჯვარედინზე" დააფინანსა ყაზახეთის კორპორაცია "ევრაზიის ბუნებრივმა რესურსებმა". გამოფენის შედეგებზე - რა და როგორ გაიყიდა - ახლო მომავალში გიამბობთ. გამოფენამ კი, 4-დან 12 მარტამდე იმუშავა.

ომროზირ რუსაძე

ფოტო: გურანდა ანნაბაძე

მირიან კილაძე









LEVAN CHOGOSHVILI. UNTITLED
ლევან ჭოლოშვილი. უსათაურო



BAIA TSIKORIDZE. OWNER OF "BAIA GALLERY"
ბაია წიქორიძე. "ბაია გალერისის" გალერისტმა



MERAB ABRAMISHVILI. CUMAON CANNIBAL
მერაბ აბრამიშვილი. კუმონის კაციჭამია



Georgian Artists at Sotheby's Selling Exhibitions

"AT THE CROSSROADS": CONTEMPORARY ART FROM CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS IN LONDON

On March 4 2013, Sotheby's Auction House launched a selling exhibition of the works by Caucasian and Central Asian artists, titled "At the Crossroads". The exhibition features up to 50 artists, including 9 Georgian painters.

Irakli Parjiani, Tamar Kvesitadze, Alexander Bandzeladze, Avto Varazi, Jibson Khundadze, Levan Chogoshvili, Merab Abramishvili, Koka Ramishvili, Kote Sulaberidze - these are the Georgian artists, whose works were exhibited and sold in London, where Sotheby's Auction House organized a special selling exhibition for Caucasian and Middle East artists, titled "At the Crossroads". This is a unique opportunity for the exhibited authors to promote their art and gain some profit. The range of artists presented at the exhibition is quite diverse, with trends ranging from socialist realism to non-conformism, from deep spirituality to post-modernism. One common trait is that the majority of presented artists matured in the former Soviet Union. This is one of the reasons why the exhibition got organized by Joanna Vickery, Head of Russian Department at Sotheby's.


"Our intention was to present the works of art created in the target region after the 1960ies. Looking at the last 20 years following Perestroika, Glasnost and disintegration of the USSR, we can see that these countries were seeking to express their national identity through art - they were trying to find something that did not exist in socialist realism at all," stated Ms. Vickery.

One of the galleries which submitted exhibits to Sotheby's was Baia Gallery; the other paintings came from TBC Art Gallery and three independent artists. We interviewed Baia Tsikoridze, the owner of Baia Gallery, at the moment when her plane was just about to take off - the art dealer was leaving for London to attend the selling exhibition. Her gallery sent to Sotheby's the works by Abramishvili, Parjiani and Sulaberidze.

"The actual choice was made by Sotheby's, but I made my suggestions, because I had been dealing with these artists for a long time already," said Baia Tsikoridze.

The paintings sent to London are Irakli Parjiani's "Crucifixion" (1989, Berlin cycle); Khundadze's medium-size oil painting "Pirosmiani's Metamorphoses"; Avtandil Varazi's "Bull's Head"; Levan Chogoshvili's "Untitled"; Alexander Bandzeladze's "Composition"; Merab Abramishvili's "Cumaon Cannibal", etc.

Joanna Vickery said: "One of my personal favorites is the painting by Georgian artist Merab Abramishvili. Unfortunately, the artist died in 2006. He had brilliant figurative style. Merab Abramishvili lived in an escapist world, which is so characteristic of Soviet artists who did not adhere to socialist realism. Abramishvili's work we are presenting at the exhibition is titled "Cumaon Cannibal". This is a mystical tiger-like beast resembling; the painting itself reminds of an exquisite Oriental miniature."



AVTO VARAZI. BULL'S HEAD
ავთო ვარაზი. ხარის თავი

The importance of participation in such an exhibition is obvious. BaiaTskoridze said that Georgian artists already had some experience of participating in international auctions: "Individual artists used to take part in auctions, but participation in a selling exhibition is the first of the kind. This is why we attach so much importance to this one - especially considering that it is organized with one of the most important financial organizations in the art market. This is highly important for the Georgian art and national art market."


BaiaTskoridze could not tell us how much the exhibits would cost at Sotheby's. However, Sotheby's web-page is publicly accessible and the interested people could obtain this information independently.

"Unfortunately, we cannot say anything - this information is restricted and we have signed an agreement to keep it confidential. Sotheby's website contains all the required materials, including the invitation to address the auction house administration if you are interested in any of the exhibits."

According to the organizers of Sotheby's selling exhibition, the cost of exhibits reached 500 thousand. We found out that the most expensive work of art presented at the exhibition was the portrait of Dimitri Shostakovich, painted in 1987 by Azerbaijani artist TairSalakhov.

"At the Crossroads" was funded by Kazakhstan-focused Corporation "Eurasian Natural Resources". The exhibition was open from March 4 to March 12.

OKROPIR RUKHADZE
PHOTO BY GURANDA ANCHABADZE,
MIRIAN KILADZE



KOTE SULABERIDZE. WITH DALTONIKI'S EYES
კოტე სულაბერიძე. დალტონიკის თვალებით




KOTE SULABERIDZE. WITH DALTONIKI'S EYES
კოტე სულაბერიძე. დალტონიკის თვალებით



ALEQSANDRE BANDZELADZE. JIFSON KHUNDADZE
ალექსანდრე ბანძელაძე. ჯიფსონ ხუნდაძე



IRAKLI PARJIANI. CRUCIFIXION
ირაკლი ფარჯიანი. ჯვარცმვა





ინტერვიუ ლალი ქუთათელაძესთან

„...ნავი... ბედნიერების ნაპირზე კაცობრიობის გადასაყვანად...“

რიკვდა

და ან, უფალი, მამა ჩუნი ხარ შენ,
სოლო ჩუნ თინა, სამამ ხელთა შენთა ყოველი.

ისიანი 64:8

- შენი ნამუშევრები კონკრეტული დროსა და სივრცის მიღმაა თითქოს... მათში ძველი და შორეული კულტურული მოტივები და სტილებია აქტივიზირებული. ისინი გვაგონებს რაღაც შორეულს და ამ დროს ძალიან ნაცნობს, მაგრამ არცერთ კონკრეტულ სტილს თუ არტეფაქტს. არის თუ არა შენს ნამუშევრებში ისეთი მოტივი, რომელსაც სულ უბრუნდები და რომელიც შენი შემოქმედების მნიშვნელოვან და ღრმად გააზრებულ თემად შეიძლება მივიჩნიოთ?


- ყოველი კონკრეტული ნამუშევარი იმ პერიოდის ნაზრევიანია, როდესაც ის შეიქმნა. დღეს შეიძლება აღარც მასსოვდეს რაზე ვფიქრობდი იმ დროს, მაგრამ ყოველთვის, ეს არის ის, რაშიც უშუალოდ ვიყავი ჩართული მუშაობის პერიოდში. დღევანდელი გადასახედებიდან ისე ჩანს, თითქოს ჩემს შემოქმედებაში ერთ-ერთი ძირითადი, მაინც ადამიანის მუდმივი სვლის, სხვადასხვა ადგილებში გადასვლისა თემაა. ეს მე ვარ? შესაძლებელია... დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ვფიქრობ ჩემს ფიგურას არ აქვს კონკრეტული სახე. ის

ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც სულ გზაშია, სულ მოგზაურობს. ის ქალია, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემთვის მისაღები ესთეტიური ფორმაა და არა ფემინისტური იდეების გამოვლინება.

აგრეთვე მოგზაურობის თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფილოსოფიური და რელიგიური სახე-სიმბოლო, რომელსაც სშირად ვუბრუნდები, ნავია, რომელიც, რა თქმა უნდა არ არის დაკავშირებული ფიზიკურ მოგზაურობასთან. ის უნივერსალური ნიშანია, რომელიც ორ სამყაროს შორის მოძრაობს და ადამიანების „იქ“ გადაყვანას უზრუნველყოფს.

- ღია ნაწარმოების ცნება აქტიურად დამკვიდრდა თანამედროვე ხელოვნებაში. როგორ ფიქრობ, ადვილად „ნაკითხვადია“ შენი ნამუშევრები? განუხვებს მათი მრავალგვარი ინტერპრეტაციის საკითხი?

- ხელოვნება არის დიალოგი, მიუხედავად იმისა, გყავს თუ არა ვის-მის მოსაუბრე. იყო დრო, როდესაც არ მქონდა სურვილი ჩემი ნამუშევრების მეშვეობით გამომეაშკარაებინა



საკუთარი თავი. არ მინდოდა „ჩემზე“ სცოდნოდით, კერამიკა კი ამის საშუალებას მაძლევდა... ხომ შესაძლებელია შექმნა ნივთი, რომელიც მხოლოდ შენს ესთეტიკაზე მეტყველებს. ის შენია, მაგრამ არაფერს ჰყვება შენს შესახებ. შემდგომში, რაღაც ეტაპზე, სათქმელის გაზიარების სურვილი გამიჩნდა... რაც შეეხება მრავალგვარ ინტერპრეტაციას, ეს პირიქით საინტერესოც არის, მრავალგვარი ინტერპრეტაცია ნიშნავს იმას რომ ვიღაცამ იფიქრა შენს ნამუშევარზე და თავისი დასკვნა გამოიტანა ან თამაშში ჩაერთო და შენი ამბის თავისი ვერსია შექმნა.

- გაგჩენია თუ არა იმის შიში, რომ შენს ნამუშევარს ვერ გაიგებენ?

- ეს არ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი... რასაკვირველია ჩემი ნამუშევარი ჩემი გზავნილია, მაგრამ საკუთარი ფიქრის, აზრის ილუსტრირება არ არის ჩემი ამოცანა. მნახველს უნდა ჰქონდეს დიალოგი ჩართვის შესაძლებლობა, აქვს უფლება თვითონ გააკეთოს დასკვნა, თავისებურად გაიგოს ჩემი გზავნილი...

„ლალის კერამიკა გამოირჩევა დახვეწილობით, ქალური სინატიფით, გემოვნებით. მისი შემოქმედება ატარებს სხვადასხვა ეპოქათა სულისა და მესხიერებას. ლალის ხელოვნება თანამედროვეა და ამავე დროს საოცრად კლასიკურიც. იგი თავდადებულია არა მარტო ხელოვნებაში, ასევე ნებისმიერ საქმეში“ - ოთარ ვეფხვაძე, კერამიკოსი.





საშუალებას ავსახო ნაფიქრი, განცდილი, ირ-გვლივ არსებული გარემო, ან არარსებული სა-მყარო, გამოცდილების შედეგი ან ფანტაზი-ის ნაყოფი.

კერამიკაში მუშაობა პროფესიონალიზმთ-ან ერთად მოითხოვს მოთმინებას, რადგან და-სრულებულ ნამუშევარსა და საბოლოო შედე-გს შორის არის ღუმელი და გამოწვა და ზო-გჯერ მოულოდნელი შედეგი...

„ნ წელია სამხატვრო კადემიაში ვსწავლ-ობ და დღევანდელი გადასახედიდან თამამად შემძლია ვთქვა, რომ სულ რამოდენიმე ადა-მიანია ამ სივრცეში, რომლებმაც ჩემი, როგ-ორც მომავალი მხატვრის და ასევე პიროვნე-ბის ჩამოყალიბებაში უდიდესი, არსებითი რო-ლი ითამაშა, მათ შორის ერთ-ერთი მონინა-ვე ადგილი უკავია ქნ ლალი ქუთათელაძეს,

- გახსოვს პირველი შეხება კერამიკასთან? რა უპირატესობა აქვს თიხას და რატომ იქცა ის ყველაზე მისაღებ მასალად შენთვის?

- მოხდა ისე, რომ აკადემიაში კერამიკის განყოფილებაზე მოვხვდი. გრაფიკაში მუშაო-ბაზე ვოცნებობდი და სწავლის პერიოდში სულ გრაფიკაზე გადასვლას ვცდილობდი. მა-გრამ ჩემმა შეხვედრამ ალდე კაკაბაძესთან სრუ-ლიად შეცვალა ჩემი გეგმები, უფრო სწორედ კი დამოკიდებულება კერამიკის ხელოვნების მიმართ. მან შემაყვარა და შემაგრძობინა თი-



ხა, დამანახა ის შესაძლებლობები, რომელსაც ამ მასალაში მუშაობა იძლევა. ქალბატონ ალ-დეს აქვს საოცარი უნარი დაინახოს ადამიან-ში საუკეთესო და დაეხმაროს თვითრეალიზა-ციაში...

ჩემთვის თიხა არის მასალა (ისე, როგორც სხვისთვის არის ზეთი ან ფანქერი), რომელ-იც მაძლევს თვითგამოხატვის საშუალებას,





ადამიანს რომელსაც შესწევს ძალა საკუთარ თავზე აილოს პასუხისმგებლობა და ყველანაირი გზის გამოყენებით ბოლომდე მიგაყვანილოს დანყებული საქმე, მიუხედავად ბევრი სირთულისა, გააკეთოს მაქსიმალური სტუდენტისთვის და იზრუნოს მის მომავალ კარიერულ წინსვლაზე. ქნ ლალისთან ურთიერთობა ხშირად სცილდება უბრალოდ სტუდენტის და პედაგოგის კავშირს და გადადის მეგობრულ კოლეგიალურ დამოკიდებულებაში, რაც ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანია ნებისმიერი სტუდენტისთვის“ - მერაბ გუგუნიაშვილი, კერამიკოსი.

„როდესაც აბიტურიენტი ხარ, ძალიან ძნელია მიიღო სწორი გადაწყვეტილება თუ რა იქნება მომავალი პროფესია, ხშირად ეს გადაწყვეტილება გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. შემდეგ იწყება ფიქრი იყო თუ არა ეს არჩევანი სწორი. მე გამიმართლა, რადგან სტუდენტობის პერიოდში რამდენიმე ისეთი პედაგოგი მყავდა, რომლებმაც ჩემი არჩევანი თანდათან მყარი გახადეს. ლალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანია, ვინც ეს ეჭვები გააქრო და კერამიკის სიყვარული საბოლოოდ გამყარა ჩემში. ძნელია არ შეგიყვარდეს ეს საქმე, როცა მას ასეთი განსაკუთრებული ენერჯით და ესთეტიკით გადმოგცემენ, როგორც ლალი ქუთათელაძის შემთხვევაში ხდება“ - ირინე ჯიბუტი, კერამიკოსი.

- გამოყენებითი ხელოვნება საკმაოდ რთული ტერმინია და ეს სირთულე მის ბიფუნქციონალობაში მდგომარეობს. აბოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი კერამიკის კათედრის ბაზაზე შეიქმნა, მის გარშემო გაფართოვდა. დღესდღეობით ეს კათედრა „მხატვრული კერამიკის“ მიმართულებად იქცა. რას ნიშნავს ეს განსაზღვრება?

- ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელმა იაკობ ნიკოლაძემ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთმა

დამაარსებელმა და პირველმა პროფესორმა 1926 წელს, აკადემიაში დააარსა პატარა კერამიკული სახელოსნო - ქანდაკების კერამიკულ მასალაში შესასრულებლად. 1927 წელს, სწორედ ამ სახელოსნოს ბაზაზე, გაიხსნა კერამიკის კათედრა, რომლის მემკვიდრე დღესდღეობით არის მხატვრული კერამიკის მიმართულება.

დაიხს, გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი კერამიკის კათედრის ბაზაზე შეიქმნა და მის გარშემო გაფართოვდა ამ ფაკულტეტის მემკვიდრე კი დღესდღეობით არის დიზაინის ფაკულტეტი.

რაც შეეხება განმარტებას „მხატვრული“ ეს მიუთითებს იმასე, რომ აკადემიაში კერამიკა შეისწავლება როგორც მხატვრული მასალა და არა როგორც მასალა, რომელიც გამოიყენება ინდუსტრიაში, მედიცინაში და ა.შ.

მომწონს ის, რომ ფაკულტეტს დღესდღეობით დიზაინის და არა გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი ჰქვია. გამოყენებითი ხელოვნება ჩემთვის ცოტა ბუნდოვანი მცნებაა... რაც შეეხება კერამიკის ხელოვნებას - ის ცდება წმინდა დიზაინის ფარგლებს და თავის არსში სახვითი ხელოვნების პოტენციალის მატარებელია. მე სწორედ მასალის ამ პოტენციალის გამოყენება მაინტერესებს...

- გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგს აქვს მოძრავი ფუნქციური სტრუქტურა, რომელშიც ფასეულობათა შესაბამისობა მუდმივად იცვლება. არსებობს თუ არა რაიმე უნივერსალური მოდელი კერამიკაში, რომელიც უცვლელია საუკუნეების განმავლობაში და წარსულის რა გამოცდილებას იყენებენ დღეს ქართველი კერამიკოსები?

- ეს უნივერსალური მოდელი ქართველი კერამიკოსებისთვის არის შავკრიალა კერამიკა.


XX საუკუნის 60 წლებში შავკრიალა კერამიკის აღორძინება უკავშირდება ბატონ რეზო იაშვილის სახელს, რომელმაც ალადაგინა კერამიკის წარმოების ეს უძველესი მეთო-


დი. ამ დროიდან, შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა ქართველი კერამიკოსი, რომელსაც არ გაუკეთებია შავკრიალა ნამუშევარი. ასე რომ ეს, გარკვევნილად, ქართული კერამიკის სახედაც კი იქცა.

„ლალი იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც შესწლო გადაელახა ხელოვნების დარგისთვის არსებული გარკვეული საზღვარი. თუ კერამიკას მანამდე ტრადიციული სახე ჰქონდა, ამ თაობის დამსახურებაა, რომ მათ გაბედეს და გაარღვიეს ამ სფეროს საზღვრები. მათთვის მთავარია არა ის, რომ შექმნან კარგი კერამიკული ნაკეთობა, არამედ მხატვრული ობიექტი, რომელიც შეიძლება არ იყოს გამოყენებითი. ისინი რჩებიან კერამიკის არეალში. მაგრამ არ იბოჭებიან და მათი სითამამე საშუალებას აძლევთ იყვნენ მკვეთრად ინდივიდუალურები და თავისუფლად გამოსახონ თიხაში საკუთარი აზრები“ - ნანა კიკნაძე, ხელოვნებათმცოდნე.

- 1970-იანი წლებიდან გამოყენებითი ხელოვნებიდან „სუფთა საგნობრიობის“ სფეროში გადასვლის ტენდენცია შეინიშნება - იქმნება ობიექტები და არა უტილიტარული დანიშნულების ნივთები. ხელოვნებათმცოდნეები კერამიკის ძირეული ამოცანების რღვევაზე, დარგის საფუძვლებთან გენეტიკური კავშირის წყვეტაზე ალაპარაკდნენ... კრიტიკოსების ნაწილი ამ მოვლენას აფასებს, როგორც კრიზისს გამოყენებითი ხელოვნებაში, ზოგიერთისათვის კი, ეს პროცესი დარგის განვითარების ახალი გზაა. არსებობს თუ არა რაიმე საზღვარი, რომლის გარღვევა შეუძლებელია და რაც კერამიკის საფუძვლების მოშლას გამოიწვევს?

- თიხა იძლევა საშუალებას აკეთო, როგორც თონცენტრალური არტ-ობიექტი, ასევე ფუნქციური ნივთი. გასული საუკუნის 60-იან წლებში მოხდა კერამიკის მონყვეტა უტილი-





ტარული საფუძვლებისგან. კერამიკოსებმა დაინყეს თიხის სკულპტურული თვისებების წინ წამოწევა. მოგვიანებით იგივე პროცესები დაინყო საქართველოშიც... თუმცა იმის თქმა, რომ დიდსადადობით უტილიტარული კერამიკა დაჩაგრულია ან არ ვითარდება შეუძლებელია. კერამიკის სახვითი თვისებების წინ წამოწევა არის განვითარების ერთ-ერთი გზა და საშუალება და არა დარგის კრიზისი. რაც შეეხება იმას თუ რა არის ის საზღვარი, რომლის გარღვევა შეუძლებელია და რაც კერამიკის საფუძვლების მოშლას გამოიწვევს, ეს არის პროფესიონალიზმის დაკარგვა. კერამიკაში მუშაობა მოითხოვს ოსტატობას, მასალის ცოდნას და ფლობას. კერამიკის საფუძვლების მოშლას პროფესიონალიზმის არ არსებობა თუ გამოიწვევს...

- ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარი, პროექტი...

- არც ერთი ჩემი ნამუშევრის გამოყოფა არ შემოძლია. არც ერთს არ ვანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას...

ყველა ჩემი ნამუშევარი დიდხანს კეთდება. ვინც ესკიზიდან, დიდხანს ვხატავ ყველა მხრიდან და შემდეგ ვინც კერამიკულ მასალაში შესრულებას.

ჩემი საყვარელი, მნიშვნელოვანი და, ჩემის აზრით, ყველაზე წარმატებული პროექტია ფონდ „თიხის ოფისის“ დაფუძნებაში მონაწილეობა. მე მხვდა წილად ბედნიერება ცხოვრების გზაზე შევხვედროდი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან ოფის ადამიანს – მაღსაზრებელი, ლია ბაგრატიონს, ნატო ერისთავს და გაგიშა პაჭკორიას. ჩვენ ერთად ჩამოვყავალიბეთ ეს ფონდი, მათთან ერთად გავაკეთეთ არაერთი საინტერესო პროექტი, გამოფენა, მათთან ერთად ვიმოგზაურე. მათთან ურთიერთობა, თანამშრომლობა, მათ გვერდზე მუშაობა ჩემთვის ყოველთვის საინტერესო და ძა-

ლიან მნიშვნელოვანია...

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს - ზაფხულში ფრანგი კერამიკოსების სტუმრობა, შემდეგ საფრანგეთში გამოფენა „შატო“ და ოქტომბერში კი თელავის ფესტივალი.

„ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი სახელოსნოს მეგობრები ამავე დროს ჩემი მეგობრებიც არიან. ერთ-ერთი მათგანი ლალია.

ლალია ქუთათელაძე შემდგარი მხატვარია. მისი შემოქმედება ნიჭის, ინტელექტის და პროფესიონალიზმის ერთობლიობაა. ლალის ნამუშევრების შესახებ თავად ნამუშევრები ამბობენ, მე კი, გაიმბობთ თუ როგორ იწყება მისი შემოქმედებითი დღე სახელოსნოში.

თუ კარზე კაკუნს გაისმა, ყველამ ვიცით რომ ლალი მოვიდა. ხშირად ვეხუმრებით ხოლმე, რომ ეს მისი გერმანელი ბებიის ალბრედის "წუნია". აუცილებლად რამე გემრიელს მოგვიტანს, ვიდრე მუშაობას დაიწყებს, მისთვის ჩვეული ტაქტით დაინტერესდება ვინ რას ვაკეთებთ. პირადად მე, ლალის უნარები ძალიან მეხმარება ჩემს პროფესიულ საქმიანობაში. იგი უშუალოდ მრჩეველია-ორიენტირებული მეგობრის წარმატებაზე. ლალის თვისებაა- არ დაივიწყოს სხვა...

შემოქმედებითი საქმიანობის გარდა, იგი აკადემიის პროფესორია. სტუდენტებთან მუშაობა მისი ერთ-ერთი გატაცებაა, რის გამოც, სხვათა შორის, სახელოსნოში გვიან გამოჩნდება ხოლმე. ასევე "თიხის ოფისის" თანადამფუძნებელია და არაერთი საერთაშორისო კერამიკული სიმპოზიუმისა თუ ვორკშოპის პროექტის ავტორი და მონაწილე.

ლალის უნარი, ფართოდ დაინახოს ნებისმიერი იდეის სურათი და არ დაკმაყოფილდეს პატარა-პატარა მიღწევებით, ფასდაუფებელს



ხდის მას გუნდური მუშაობისთვის. დიდი გამოარჯევება მისი საბოლოო მიზანი, რომელიც ყოველთვის მთელ ჯგუფს გვეკუთვნის“ - ლია ბაგრატიონი, კერამიკოსი.

- ახალმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეცვალა და გააფართოვა მხატვრული კერამიკის საშუალებები. როგორ გესახება ამ დარგის განვითარება?

- ტექნოლოგიის განვითარებამ შექმნა ახალი, კერამიკული მასალის და გამოწვევის შესაძლებლობებზე დაფუძნებული ესთეტიკა... შეიძლება ითქვას თავად ტექნოლოგია იქცა ესთეტიკად და თიხა და გამოწვა - ART-ობიექტად... ეს ძალიან საინტერესოა. ამჟამად, მიყვარს, როდესაც ART-ობიექტს მე თვითონ ვქმნი... თუმცა, მსვლელობის ან მოგზაურობის პროცესში, შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.

ესაუბრა ხელოვნებათმცოდნე ქატი შავპულიძე (სტილი დაცულია)



პირველი სიყვარული ბათუმში First Love - Batumi

ავტორი: სკულპტორი ირაკლი წულაძე
AUTHOR: SCULPTOR IRAKLI TSULADZE



პირველ სიყვარულს მოქანდაკე ირაკლი წულაძემ ბათუმის ბულვარში ძეგლი დაუდგა. "პირველი სიყვარული" სკულპტურულ-ალეგორიული კომპოზიციაა. ქანდაკება ორფიგურია. პიჭის და გოგოს ფიგურები ერთმანეთს სათუთად ეხებიან, მოკრძალებას და გრძნობას გამოსატყვევენ ერთმანეთის მიმართ. სკულპტურის კომპოზიციას თუ დააკვირდებით ნახავთ, რომ გულის სიმბოლური ფორმა აქვს. იგი დახვეწილი და მეტყველია. ქანდაკების სიმაღლე 4 მეტრი და 40 სანტიმეტრია. ქანდაკება შესრულდა ბრინჯაოში, გამოყენებული იქნა ტონირებული ბეტონი და მინა.



პედესტალი ორდონიანია. მისი საერთო სიმაღლე 80 სანტიმეტრია, რაც საშუალებას იძლევა ქანდაკება კონტაქტური იყოს. მასთან შეყვარებულები სხდებიან, ეხებიან, სამახსოვრო ფოტოებს იღებენ. ქანდაკება ზღვის სანაპიროზე დგას. კომპოზიციის ფონი უკიდევანო ზღვაა, საღამო ხანს კი - ზღვაში ჩამავალი მზე ექცევა შეყვარებულების ხელებში.



Women's Rights – Art in Action

ქალთა ფონდი საქართველოში ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს – “Women’s Rights – Art in Action”, რომლის მიზანია ქალთა საკითხებისადმი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მგრძობეულობის გაზრდა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ქუჩის პერფორმანსები: **One Billion Rising** (მილიარდი ამბოხებული) **Break The Chain** (განწყვიტე ჯაჭვი) და ქართველი მხატვარი ქალების ნამუშევრების გამოფენა „Auto Nomos (პირადი კანონი), თემაზე ქალთა სექსუალური უფლებები და გამოცდილებები.

ქუჩის პერფორმანსი: **One Billion Rising** – (მილიარდი ამბოხებული)

2013 წლის 14 თებერვალს მსოფლიოში პირველად ჩატარდა გლობალური კამპანია „მილიარდი ამბოხებული“, რომლითაც ივ ენსლერს – (ცნობილი დრამატურგი და აქტივისტი, „ვაგინა მონოლოგების“ ავტორი), კამპანიის იდეის ავტორს და ინიციატორს, უნდა მთელ მსოფლიოს უჩვენოს ქალთა სოლიდარობა და უამრავი ქალის ერთობლივი ძალისხმევა თავიანთი უფლებების დაცვისთვის.


კამპანია გულისხმობს გლობალურ ქმედებას, რომელიც მთელ მსოფლიოს უჩვენებს ქალთა მრავალრიცხოვნებას საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლაში. აქციის ინიციატორებმა მოუწოდეს მილიონობით ქალს გამოსულიყვნენ სახლებიდან, სამსახურებიდან და გაერთიანებულიყვნენ იმისთვის, რომ ეცეკვათ და მოეხდინათ ერთიანი ძალის დემონსტრირება სამართლიანობის აღდგენის, ძალადობის დაგმობისა და გენდერული თანასწორობისათვის.



კამპანიის სლოგანია: მილიარდი ქალის ცეკვა უკვე რევოლუციაა!

ამ კამპანიას საქართველოც შეურთდა. 2013 წლის 14 თებერვალს, 15:00 სთზე, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალთა ფონდის ინიციატორით მოეწყო პერფორმანსი - **One Billion Rising** (მილიარდი ამბოხებული). (ავტორი: ორგანიზაცია „იდენტობა“). (მ/მ ფილმი კამპანიის ძირითადი იდეის შესახებ – http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=gl2AO-7VlzK)

2. ქუჩის პერფორმანსი: **Break The Chain** (განწყვიტე ჯაჭვი).

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში 16 თებერვალს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა პერფორმანსი **Break The Chain** (განწყვიტე ჯაჭვი). (ავტორები: მათა ტაბიძე, ნინო ბექაია, ქეთი ზაზანიშვილი, ნინო გოგოჭყური, ქეთი მჭედლიშვილი).





გამოფენა: Auto Nomos (პირადი კანონი)
 17 თებერვალს, გალერეაში „არტ ავენიუ“ გაიხსნა ქართველი მხატვარი ქალების ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით, Auto Nomos (პირადი კანონი), თემაზე – ქალთა სექსუალური უფლებები და გამოცდილებები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ფორმატში შესრულებული ნამუშევრები (ფოტო, ვიდეო, ვერნერა, გრაფიკა, ინსტალაცია, პოსტერი, შერეული მედია, სხვა). გამოფენა გაგრძელდა ერთი კვირის განმავლობაში.

მონაწილეები: ანა გოგუაძე, ანა ლალიძე, სოფო ჩერქეზიშვილი, სოფია ბეჩიშვილი, ნინო ცქვიტია, ქრისტინე ბებია, ლუიზა ლაფერაძე, თამარ ბოჭორიშვილი, თამარ ბოკუჩავა, ია ბახტაძე, გურანდა ქლიბაძე, თამარ ჯიბუტი, თათული ჯაფოშვილი, ეთო გზირიშვილი.

2013 წლის 8 მარტს გალერეა „არტ ავენიუში“, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქალთა ფონდის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება „უთქველი ისტორიები“.

ღონისძიების ფარგლებში მოენყო ახალი დოკუმენტური ფილმის – „უთქველი ისტორიების“ პრემიერა. ფილმი ქალთა ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა და მოგვითხრობს მე-19 საუკუნის სამი ქართველი ფემინისტის, ბარბარე ჯორჯაძის, ეკატერინე გაბაშვილისა და კატო მიქელაძის, ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. დოკუმენტური ფილმის მიზანია საზოგადოებისთვის ქართველი ქალების უცნობი ფემინისტური მემკვიდრეობის ჩვენება. ფილმის რეჟისორია სალომე სალარაძე, სცენარის ავტორი – თამაზ მეღაშვილი.

ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია თემაზე “ფემინიზმის წარსული და უახლესი ისტორია საქართველოში”.

მომხსენებლები: ბაია პატარაია – წარმოდგენილი ფილმის იდეის ავტორი; თინათინ ჯაფარიძე – განვითარების მეცნიერების მაგისტრანტი, რომელიც წარმოადგენს კვლევას „ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კულისებში“; ნათია გვიანიშვილი, ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის წევრი, წარმოადგენს პრეზენტაციას - „ქართული ფემინიზმი დღეს“.

საღამო მუსიკალურად გააფორმა მუსიკოსმა „Ekala“.

აღნიშნული ღონისძიება ტარდება პროექტის “Women’s Rights – Art in Action” ფარგლებში, ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით და მიზნად ისახავს ქალთა საკითხებისადმი საზოგადოების ცნობიერებისა და მგრძობიერების ამაღლებას.

